ხელშეკრულება№42

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.საგარეჯო 20 ნოემბერი 2019 წელი

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება „(შემდგომ „ხელშეკრულება“)“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენმტებით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული.
1.2.“შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომ “შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას („დაწესებულებას „) რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3.“მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს,რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
1.4.“ხელშეკრულების ღირებულება“ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5.“დღე“,“კვირა“,“თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1.ერთისმხრივ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **ა.(ა)ი.პკულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორის ბესიკ ღვინაშვილის** სახით საიდენტიფიკაციო კოდი **238156035**, მისამართი: ქ. საგარეჯო დავით აღმაშენებლისქ. №13,(შემდგომში შემსყიდველი და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. ,, ბი ემ სი გორგია“-ს წარმომადგენლი ლევანი გელაშვილი** საიდენტიფიკაციო კოდი**: 245621288**, **ბანკის რეკვიზიტები: GE62TB1007536020100008,** (შემდგომში „მიმწოდებელი“).

3.ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია:საკუთარი ხარჯებიდან სადეზინფექციო ხსნარი–ანტი ხოჭო, პატარძეულის გიორგი ლეონიძის სახელობის მუზეუმისთვის,გამარტივებული შესყიდვის საშუალებით,კლასიფიკატორის კოდი 24455000 თანახმად საქართველოს კანონის “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა.

4. .ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 218**(ორას თვარამეტი) ლარს და 47თეთრი დღგ-ს ჩათვლით.**

ანტიხოჭო– 7 ცალი,ერთი ცალის ღირებულება შეადგენს–31,21,სულ ჯამში შეადგენს 218 ლარს და 47 თეთრს.

4.2. მომსახურების მიწოდების ვადა:**ხელშეკრულების დადებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

5.ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

5.1. ანგარისწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5.2.ანგარისწორება მოხდება შესაბამისი მასალების წარმოდგენიდან და „მიღება- ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

5.3.ანგარისწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.მიღება–ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტების გაფორმების შემდეგ.

7.მხარეთა უფლება- მოვალეობანი

7.1.შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

-ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

-ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული მომსახურების ღირებულება;

7.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

-განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

-საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება ;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია :

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობები;

-დააკმაყოფილოს შემსყიდველის თხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7.5.მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულებების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო

სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
8.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ანმიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
8.3. ფორს-მაჟორულიგარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრივალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდაგაუგზავნოს მეორემხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებ სხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოინახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1.შემსყიდველი უფლებამოსილია აწარმოოს ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტაციის შესრულებისა საქონლის ხარისხის ინსპექტირება.
9.2.შემსყიდველი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს დამკვეთი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური პირობებით და სხვა სამუშაო პირობებით.
9.3.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: **2019 წლის 31 დეკემბრამდე.**

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%პროცენტის ოდენობით.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულებაში მითითებულ5%პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3. ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათშორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2.თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებიმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

14.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თვიაანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება დგება ორ იურიდიული თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა.ი.პ.კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორი:	**შ.პ.ს. „ბი ემ სი გორგია“–ს წარმომადგენელი**
ბესიკ ღვინაშვილი	**ლევანი გელაშვილი**

NNLE CULTURAL OBJECT UNION

Digitally signed by NNLE CULTURAL OBJECT UNION
Date: 2019.11.20 11:20:04 +04'00'